ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმი

თბილისი "13" 11 2013

ერთი მხრივ,

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (საიდენტიფიკაციო კოდი: 206046045, ინსტიტუციური აკრედიტაცია: N36/ს - 03.12.2008; ავტორიზაცია: N131 – 12.08.2011) წარმოდგენილი მისი იურისტის ნიკა დუდაშვილის სახით და მეორე მხრივ, საადვოკატო ბიურო OK & CG წარმოდგენილი მისი დამფუძნებელი და დირექტორის ოთარ კაჭკაჭაშვილის სახით

პიროვნების ინტელექტუალური, შემოქმედებითი და პროფესიული პოტენციალის რეალიზების, უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების, სამართლის აკადემიური პროგრამის ეფექტურად განხორციელებსა და ამავე პროგრამის სტუდენტთა თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარ–ჩვევების განვითარების, ასევე მათი დარგობრივი კომპეტენციების ფორმირების ხელშეწყობის, შრომის ბაზრის მოთხოვნილებების ადეკვატური იურიდიული კადრების მომზადებისა და გამოვლენის მიზნებიდან გამომდინარე თანხმდებიან, რომ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის წერილობითი მიმართვის საუძველზე, საადვოკატო ბიურო OK & CG უზრუნველყოფს:

- სამართლის აკადემიური პროგრამის დამამთავრებელი კურსის წინასწარ შეთანხმებული ოდენობის სტუდენტების წინასწარ შეთანხმებული ვადით მიღებას სამართლის აკადემიური პროგრამით გათვალსიწინებული პროფესიული პრაქტიკის გასავლელად;

- პრაქტიკანტის მიერ შესასრულებელ სამუშაოთა განსაზღვრას, მიმღები დაწესებულების კომპეტენციიდან, მიმღები დაწესებულების სამსახურებრივი საჭიროებიდან და სამართლის აკადემიური პროგრამითა და სასწავლო სილაბუსით გათვალსიწინებული შინაარსიდან გამომდინარე;

- მენტორის (პრაქტიკანტთა მიერ პროფესიული პრაქტიკის გავლის ზედამხედველი პირი, რომელიც გამოიყოფა მიმღები დაწესებულების თანამშრომელთაგან) გამოყოფას;

- პროფესიული პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტას.

მხარეები, ზემოხსენებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად და დაგეგმილი თანამშრომლობის პრაქტიკული რეალიზაციისათვის უფლებამოსილნი არიან საჭიროების შემთხვევაში პრაკტიკის დაწყებამდე გააფორმონ შრომითი ანაზღაურების ხელშეკრულებები.

ეს მემორანდუმი დადებულია 1 წლის ვადით და ექვემდებარება ავტომატურად იმავე ვადით გაგრძელებას, თუ ერთ–ერთმა მხარემ ვადის ამოწურვამდე 1 თვით ადრე წერილობითი შეტყობინებით არ განაცხადა უარი მის ავტომატურ გაგრძელებაზე;

საადვოკატო ბიურო OK & CG

დამფუძნებელი და დირექტორი

ოთარ კაჭკაჭაშვილი

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო

უნივერსიტეტის იურისტი

ნიკა დუდაშვილი